

3 ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან სიტყვაში **ვ** ბგერის ჩართვისა და ფუძისეული **ვ**-ს დაკარგვის შემთხვევები იმთავითვე ცნობილია. მაგალითად, **ვ** ჩართული იყო სიტყვებში: **სარწმუნოება, უფარი—უფარისყოფა, შუვა...**, მაგრამ **ვ** ამოღებული იყო სიტყვებში: **ცხარი, პოა, ითხოო** და სხვა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ფუძისეული თუ ფორმანტიკული **ვ** ბგერის შენარჩუნებას სიტყვაში ან მის ამოღებას, ან კიდევ **ვ** ბგერის ჩართვას შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, მაგრამ მინც მყარი წესები ყოველთვის არ არსებობს. თუ, ერთი მხრით, შეიმჩნევა მიდრეკილება—წერა წარმოთქმას მისდევდეს, მეორე მხრით, თავს იჩენს ტენდენცია ეტიმოლოგიური და მორფოლოგიური პრინციპის დაცვისა. ამის გამოა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება შემთხვევები როგორც ვინიანი, ისე უვინო ფორმების ხმარებისა (**დაჯილდოვება** და **დაჯილდოება, სადავო** და **სადაო, მოხევური** და **მოხეური, აქტივობა** და **აქტიობა, მიზეზობრივობა** და **მიზეზობრიობა** და ა. შ.).

ვ ბგერა სიტყვაში ან ფუძისეულია, ან აფიქსისეულია, ან კიდევ ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული. ფუძისეული **ვ** არის შენარჩუნებული სიტყვაში **მიჯაჭვულ-ი** (ამოსავალი ფუძეა **ჯაჭვ-** და აქედან **გვაქვს მიჯაჭვულ-ი**); აფიქსია **ვ** ზმნის ფორმაში **ვ-ვარჯიშობ** მე; ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული **ვ** სიტყვაში **მეტყევი** (ამოსავალი ფუძეა **ტყე, აფიქსებია მე—ე, ვ** ფონეტიკურადაა განვითარებული ხმოვნებს შორის). **ვ** ბგერა როგორც ვითარდება ფონეტიკურ ნიადაგზე (მაგალითად: **დაუთოვება, გაქვავება, გახევება...**), ასევე იკარგვის ფონეტიკურ ნიადაგზევე განსაკუთრებით წყვილბაგისმიერ ბგერათა წინ (მაგალითად: **ხევ-ი, მაგრამ: ხეობა; მოხევ-ე, მაგრამ: მოხეური; აქტივ-ი, მაგრამ: აქტიური** და სხვ.).

სიტყვაში **ვ** ბგერის შემონახვისა და ამოღების ან მისი ჩართვის წესების დასადგენად ამჟამად ერთი რომელიმე პრინციპის თანმიმდევრულად გატარება ძნელი ხდება. ძირითადი და მთავარია მინც ამა თუ იმ ფორმის ხმარებულობა, მისი გავრცელებულობა, მაგრამ შეძლებისდაგვარად ანგარიში უნდა გაეწიოს სიტყვის მორფოლოგიურ აღნაგობასაც და ეტიმოლოგიურ მხარესაც.

თუ გავითვალისწინებთ სიტყვაში **ვ** ბგერის შემონახვისა და ამოღების, აგრეთვე მისი ჩართვის ყველა შემთხვევას, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ფუძისეული **ვ** უნდა დაცულ იქნას

1. იმ ბოლოთანხმოვნიან სახელთა მიმართვის ფორმაში, რომელთა ფუძე **ვ** ბგერით ბოლოვდება.

თავი—თავი: „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“ (აკაკი).

ერისთავი—ერისთავი

ვარსკვლავი—ვარსკვლავი

ნიავე—ნიავე: „ნიავე, ჩემო ნიავე, ნუ სჩაგრავ ტყეში
ობოლსა“ (ილია); „პაპანებაში ნიავეო ტრიალის მინდვრებისაო“ (ბაჩ.); „გიჟო
ნიავეო, დააკვე ერთ ადგილასა!“ (ია ეკ.).

შავი—შავი

ბავშვი—ბავშვი

ვეფხვი—ვეფხვი

დათვი—დათვი

ლეკვი—ლეკვი

არაგვი—არაგვი: „ჩენო არაგვი! რარივ მიყვარხარ!“ (ილია).

გარდა მარტივი აგებულების ფუძეებისა, აქ შემოვა ნაზმნარი სახელები
(მიმლობები), ნაწარმოებიანი მ- პრეფიქსით -ავ და -ევ სუფიქსიან ზმნათა ფუძე-
ებისაგან: დამხატავი (დამხატავი), დამხარავი (დამხარავი), მბეჭდავი
(მბეჭდავი), მწვერავი (მწვერავი), მფრინავი (მფრინავი), მხარჯავი
(მხარჯავი), მსტვინავი (მსტვინავი: „მსტვინავო ჩიტო, მსტვინავო,
შენ უალორსე კაკოსა!“—ილია), მომქნევი (მომქნევი), გამჩრევი (გამჩრევი),
გამქცევი (გამქცევი), გამწევი (გამწევი), მხილავი: გულთამხილავი (გულ-
თამხილავი: „გულთამხილავო, შენ უწყვი, რაც დღეს საქართველოსა ჭირნი
მოადგეს!“—ნ. ბაჩ.).

აქვე შემოვა ხა- პრეფიქსიანი მყოფადის მიმლობები ამავე ზმნებისა: საბჭე-
დავი (საბეჭდავი), სახატავი (სახატავი), სახაჯავი (სახაჯავი), სახარავი
(სახარავი), საკლავი (საკლავი), ხარჩევი (ხარჩევი), საკვლავი (საკვლავი),
სამტრევი (სამტრევი), დასაძლავი (დასაძლავი).

ამათვე მიეკვლება აგრეთვე: მცურავი, მხოხავი, მგმინავი, მერწევი,
მერყევი, მერხევი, მოძრავი, მოკვდავი და ა. შ.

სხვა მიმლობათაგან—ამავე სუფიქსიანი ზმნებისგან ნაწარმოები უარყოფი-
თი მიმლობები: დაუხატავი, დაუკარგავი, მოუკლავი... უღევი...

აქვე შემოვა სახელთა ფუძეებისაგან ნა—ევი აფიქსებით ნაწარმოები სახელე-
ბი: ნაქმრევი (ნაქმრევი), ნაყმევი (ნაყმევი), ნაძლევი (ნაძლევი), ნა-
რძლევი (ნარძლევი), ნადედამთილევი (ნადედამთილევი), ნავენახევი (ნა-
ვენახევი); გეოგრაფიულ სახელთაგან: ნადარბაზევი, ნაჭარმაგევი...

ევი- სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: ბოსლევი, ბელღევი, ვაშღე-
ვი... ავი- სუფიქსიანები: თელავი, მანავი...

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შემასმენლად წინადადებაში ავი- და ევი- სუ-
ფიქსიანი ზმნების I და II პირას ფორმებია აწმყო დროისა ან მყოფადისა და
მათ ლაერაუეს სხვათა სიტყუას -ო ნაწილაკი.

გბარავი, ვთხავი, ხედავი, დავბარავი, დავთხავი, შეხედავი...
აძლევი, შეურევი, გავლანძავი, ავკრძალავი, დავმალავი, ვნახავი,
დაგაკარგავი, შევირთავი, დავფქვავი, მოვრწყავი, რომავი, დავჩეჩქავი,
გავწირავი, მოვხარშავი, მოვხნავი, დავხურავი, ვგორავი, ვტოკავი,
ვბრუნავი, დავწურავი, შევკერავი, გავათევი, გამოვიკვლევო, დავღევი,
დავამხნვრევი, დავამტვრევი, შევამჩნევი, დავარბევი, დავარღვევი, შე-
ვარხევი, შევარჩევი. შევამჩნევი, შევახვევი, მივალწევი...

ფიქარიმან უთხრა: ჩქარი მქსოველი ვარო, დღევ ორს მოვექსოვო (ხაბა).
მან მხენელმან უთხრა: ასლსა ვთესავო (ხაბა).

უფრო ადრე კი სალიტერატურო ქართულში სუფიქსივული ვ შეიძლება-
და დაკარგულიყო: „გიოხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო“
(„ვეფხ.“, 105).

3. თანხმოვნებს შორის, თუნდაც ფუძეს წყვილბაგისმიერი ბგერით დაწყე-
ბული სუფიქსი მოსდევდეს: მიწვდომა, მოკვდომა, შეხვდომა... გვხვდება, და-
მხვდური, დაღანვროხ, მხატვრული... ამოძვრე, დააძვრე, გაძვრება... (მაგ-
რამ: ამოძრობა, ამოსაძრობი... ამოძრომა, შეძრომა, ხაძრომი)... წვრთნის...

ამ საყდრის კვლეობი ძველი მხატვრობით იყო აქრებულნი (გ. წერ.).
მხატვრობაშიც უძველესი წილი, ფანქარს კობტად აძივდივებს (შ. მღვ.).
კოისკებსა და მალაზიებში დიდი რაოდენობითა... მხატვრული
ლიტერატურა („კომ“).
იგი გატაცებული პოლიტიკური, მეცნიერული, მხატვრული იდეებით (ნ. ლორთქ.).
წყალში გადაყვრი და მხვდომებს (გ. ბარს.).

(მაგრამ მასთანვე გვხვდება: „დახოცილ ნადირთ... სიმრავლე იმდენი იყო, რომ
ყველა შემხდომს და დამხდომს უწილადეთ...“).

ყველა დამხვდური გალაღა უცებ („ახ. კომ.“).
მოსულები დამხვდურებს მივესალმეთ (დ. ბაქრ.).
თბილისის ვაგზლის ბაქანზე მრავალ დამხვდურს მოეყარა თავი („ლილო“).
ქიშობა იყო მოსულთა და დამხვდურთა შორის (ნ. ლომ.).
მოგებმა მომავალსა, თავს უჩვენებს აწ დამხვდურად (აკაქი).

(მაგრამ გვხვდება ასეც: „ეს ისეთი ალაგია, რომ ერთი დამხდური ოც მო-
მხდურსაც მოერევა.“—მ. ჯავახ.; „მომხდურს დამხდური უნდოდა და
კუქატნელიც დაუხვდა.“—მ. ჯავახ.; „ქალაქიდან მომავალმა ორი დამხ-
დური შეჰკრა.“—მ. ჯავახ.).

მორცხობა ნიქის ღვიძლი შეილია (ი. გრიშ.).
ხიბლავდა მარინეს სიბეჯითე და მორცხობა („კომ“).
[მარენს] ვერ აეხსნა თავისი სიწითლე და მორცხობა (შ. არაგვ.).
მორცხობით ერთი წაუბორძივდა ფეხა (ნ. ლორთქ.).

(მაგრამ გვხვდება ასეც: „ნინო ნაზად წამომიდგა ფეხზე და წრფელის მო-
რცხობით ხელი გამომიწოდა.“—მკ. გაბ.; „დარეჯანი!—უთხრა გულნატყენად და
მორცხობით ლუარსაბმა—დარეჯანი! თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი!“—
ილია).

მინდოდა ტახტს ქვეშ შეძრომა (ჭ. ლომთ.).
სვაფი აპირებდა საღმე შეძრომას (თ. რაზ.).

4. იმ შემთხვევაში, თუ ვ ბგერაზე გათავებული სახელის ფუძისაგან -ურ
სუფიქსით იწარმოება ზედსართავი სახელი; ანდა კიდევ, თუ ამავე სუფიქსით
ზედსართავი სახელი იწარმოება ისეთი ბოლოსმოვნიანი სახელის ფუძისაგან, რო-
მელშიაც ბოლოკიდურ ხმოვანს წინ ვ ბგერა უხის, ხოლო წარმოებისას ბოლო-
კიდური ხმოვანი იკვეცება; აგრეთვე მიმლეობის -ულ სუფიქსის წინ.

დათვი—დათვური
ბავშვი—ბავშვიური

პირუტყვი—პირუტყვი-ულ-ი (დისიმილაციით)

ლიტვა—ლიტვა-ურ-ი

მორღვა—მორღვა-ულ-ი (დისიმილაციით)

ჯაბჭვი—მიჯაბჭვავს—მიჯაბჭვი-ულ-ი

ნასკვი—გადანასკვავს, ჩანასკვავს—გადანასკვი-ულ-ი, ჩანასკვი-ულ-ი

რაგვი—შემორაგვავს—შემორაგვი-ულ-ი

შენიშვნა 1. მიმღობებში ერთი ვ მაინც დაკარგულია (იხ. § 24).

შენიშვნა 2. გამონაკლისია: მოკაკული.

სიყვარული ბავშვიური გრძობაა (ე. ნინ.).

ბავშვიური სიყვარული ღატყო გამოთქმაში (შ. დად.).

მაგრამ ასეც გვხვდებოდა: „ბავშური სცენები სასახლეში სუყველას მოეწონა, გარდა მოურავისა“.—აკაკი; „იმის ვაჟკაცურს პირისახეს ბავშური სიხარული დაეტყო“.—ა. ყაზბ.; „ტკბილად, ბავშური ძილით ეძინათ“.—შ. არაგვ.; „ესთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშური სიტყვა აჩუა.“—ილია¹.

პირუტყვიულმა შიშმა შემიპრო (ჭ. ლომთ.).

ვჩქარობდი, დამეღწია თავი ამ პირუტყვიული ცხოველებისათვის (დ. ბაქრ.).

ნუთუ არ მაქვს ძალა—ეძლიო ეს პირუტყვიული შიში? (ჭ. ლომთ.).

ჩემმა მეგობარმა ბოქარევა დათვიური სამსახური გამიწია (დ. ბაქრ.).

დათვიური მოუღრეველობა მელავენდებოდა მის მიხვრა-მოხვრაში (ე. გამხ.).

ამისმა დათვიურმა ყოფაქცევამ გზაზე ბევრი უსიამოვნობა

გამოგვარონინა (გ. წერ.).

5. -ობ-ა სუფიქსის წინ, თუ ბოლოკიდურ ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის..

ბავშვი-ობ—ბავშვიობა

ბრიყვი-ობ—ბრიყვიობა

გულუხვი-ობ—გულუხვიობა

თაგვი-ობ—თაგვიობა

მორცხვი-ობ—მორცხვიობა

წიგნის ვავლენა განსაკუთრებით ძლიერია ბავშვიობაში („კომ.“).

მოვეწყდი ბავშვიობის მინდვრებს, მიდამოს (ა. მირც.).

ჯანის სისუსტე ბავშვიობიდანვე ემჩნეოდა (ე. ნინ.).

(მაგრამ ასეც გვხვდება: „ეგ ხომ მტკნარი ბავშობა იქნება!“—ილია; „ბავშობისას კი ხშირად მოსვლია ასეთი განწირული ფიქრი“—ე. ნინ.; „ერსაც, როგორც თვითოეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშობა, ყრმობა, ჭაბუკობა.“—ილია). (შდრ. აგრეთვე § 3 და § 4).

ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგვიობა (აკაკი).

6. -ოვან სუფიქსის წინ, თუ ბოლოკიდურ ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის.

¹ თუმცა არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაში ამოსავალი ფუძე იყოს ბავშვი-ბავშვი-გავრცელებული ფორმა იყო.

ბეწვ-ი—ბეწვოვანი
ძარღვ-ი—ძარღვოვანი

მაგრამ: რიცხვ-ი—მრავალრიცხოვანი

7. იმ შემთხვევაში, თუ ო ხმოვნის რედუქციის შედეგად მიღებული ვ არის რომელიმე წყვილბაგისმიერი ბგერის ახლო მეზობლობაში.

მაწონ-ი—მაწვნისა
მინდორ-ი—მინდვრისა
ნიორ-ი—ნივრისა
იორ-ი—ივრისა

8. უქონლობის უ—ო ან დანიშნულების ხა—ო აფიქსთა დართვით ვ-ზე გათავებულ ფუძეთაგან ნაწარმოებ სახელებში ან ისეთ ბოლოხმოვნთან ფუძეთაგან ამ აფიქსებით ნაწარმოებ სახელებში, რომლებშიც ბოლოკიდურ ხმოვანს წინ ვ თანხმოვანი უძღვის, ხოლო წარმოებისას ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება.

თავ-ი—უ-თავ-ო
მზითევ-ი—უ-მზითვ-ო
ნავ-ი—უ-ნავ-ო
სახურავ-ი—უ-სახურავ-ო
სხივ-ი—უ-სხივ-ო
ბავშვ-ი—უ-ბავშვ-ო
დავა—უ-დავ-ო
ინიციატივა—უ-ინიციატივ-ო
ქვევა—უ-ქვევ-ო
სიტყვა—უ-სიტყვ-ო

მაგრამ: უმოძრაო.

ასევე: ზავ-ი—ხა-ზავ-ო, ერისთავ-ი—ხა-ერისთავ-ო, ნათესავ-ი—ხა-ნათესავ-ო, ბავშვ-ი—ხა-ბავშვ-ო, ექვ-ი—ხა-ექვ-ო, დავა—ხა-დავ-ო, აღრიცხვა—ხა-აღრიცხვ-ო...

მაგრამ: ხასაკლაო, ხასაფლაო, ხამრეცხაო, ხაშატიო, ხაკაცობრიო, ხა-ნადლეო.

ტახტის უღავო შემკვიდრე არ მოსჩანდა (მ. ჭავჭავ.).

ფაქტი რომ არსებობს, ეს უღავოა (ხ. მთვ.).

საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გამოდიან საერთაშორისო შეჯიბრებებში, აჩვენებენ საბჭოთა სპორტის უღავო უპირატესობას („კომ.“).

(მაგრამ გვხვდება ასეც: „აქაური ჰავის განსაკუთრებული სიკეთე ჩემთვის უღაო ხლებოდა.“—ხ. მთვ.).

ამას წინათ მაზრიდან საექვო პირები მოვიდნენ (ხ. შანშ.).

თუ საექვო ფაჩიფური შემომესმა, გატყდა ძლი (რ. ერ.).

საექვოდ მაინდა ზარის გამოთლება (შ. არაგვ.).

მეზუთე სხივმა საბავშვო ოთახში შეაშუქა (ი. გოგებ.).

უნდა შეუდგინონ ბიბლიოთეკა საუკეთესო საბავშვო წიგნებისა

დღღა-ენაზე (ი. გოგებ.).

მოსავლის აღების პერიოდში იმუშავენს საბავშვო ბავა („კომ.“).

მისი მოთხრობები და თარგმანები იბეჭდებოდა საბავშვო

ჟურნალებში („ლიტ. და ხელ.“).

(მაგრამ ასეც გვხვდება: „და სათამაშო, საბავშვო იურთად არ მიმჩნია ეს ჩემი გული“. — აკაკი).

ს ა დ ა ვ ო საქმის გამრჩევლად მან მოიწვია ღმერთია (ვაჟა).

ყოველივე ს ა დ ა ვ ო საქმე ფერმებსა და მემამულეს შორის
დაუმორჩილა კანონს (ილია).

ს ა დ ა ვ ო საგანი ათის თუმნის ღირებულებას არ აღემატება (ილია).

ს ა დ ა ვ ო საქმეებზე საუბარი დაუშვებელი იყო (დ. კლდ.).

მრავალი კითხვა ს ა დ ა ვ ო დ მეჩვენა (ნ. ლორთქ.).

მან ბევრი გააკეთა ს ა დ ა ვ ო საკითხთა გადაწყვეტისათვის („სახ. გან.“).

(მაგრამ ასეც გვხვდება: „სადაოდ გამიხდის საქმეს“. — ილია; „მერმე მო-
იღეს სადაოდ თუნდა ოსმალის ჯარია“. — ვაჟა; „ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ სა-
დაოდ საგანი... გადაწყდა“. — ს. მგალ.).

9. მე-მ წ-ში დასახელებულ შემთხვევებში ოდნაობითი ფორმების საწარ-
მოებლად მო-—ო აფიქსების დართვისას.

ბერავ-ი—მო-ბერავ-ო

შავ-ი—მო-შავ-ო

მშავე—მო-მშავ-ო

[არწივს] ტანი მო შ ა ვ ო ფერისა აქვს (ი. გოგ.).

შორს ცაში გამოჩნდა რაღაცა მო შ ა ვ ო გუნდი (ი. გოგ.).

10. ნამყო უსრულის -ოდ და მეორე კავშირებითის -ო სუფიქსის დართვი-
სას, თუ ვ ძირეულია და თანხმოვანს მოსდევს ან ვ სუფიქსისეულია და თან-
ხმოვნებს შორისაა მოქცეული:

იგვის—იგვოდა

ილტვის—ილტვოდა

იწვის—იწვოდა

ეკვრის—ეკვროდა

იძვრის—იძვროდა

იღვწის—იღვწოდა

დაიხეტყვა—დაიხეტყვოს

იელვა—იელვოს

იცეკვა—იცეკვოს

გააკვირვა—გააკვირვოს

დაიბრიყვა—დაიბრიყვოს

დააეჭვა—დააეჭვოს

მაგრამ:

ებრძვის—ებრძოდა

ესვრის—ესროდა

ეტყვის—ეტყოდა

უძღვის—უძღოდა

11. -ევ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნათა ნამყო ძირითადის მრავლობითი
რიცხვის III პირის ფორმებში, სადაც -ევ სუფიქსს -ივ ცვლის. სხვა პირებში
და მხოლოობითი რიცხვის მესამე პირშიც ვ დაკარგულია.

შეერია—შეერივნენ

შეესია—შეესივნენ

შეერავია—შეერავივნენ

დაეწია—დაეწივნენ

მოეხვია—მოეხვივნენ

-ევ სუფიქსიანი ზმნების ნამყო ძირითადში -ევ სუფიქსს -ივ ცვლის. ამ
სუფიქსის ვ ძველად შემონახული იყო, მაგალითად, დ. გურამიშვილთან და

ზოგჯერ XIX საუკუნის ზოგიერთ მწერალთანაც: **დახვეს—დახვა, დაღვეს—დაღვა** და ა. შ. დღევანდელ ქართულში ვ-ს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია: იგი დაკარგულია და ერთადერთი ფორმები გვაქვს: **დახია, დაღია, შეაძლია** და მისთ.

12. ნამყო ძირითადის მხოლოდობითი რიცხვის I და II პირის. და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმებში იმ ზმნებში, რომლებიც თურმეობით პირველში (კითხვაზე: რა უქნია?) ვ ბგერას წარმოვიდგენენ ფუძეში.

ნამყო ძირითადში (წყვეტილში) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება პარალელური ფორმები: **დავანჩჩვე, დაახჩჩვე, დავანჩჩვეთ, დაახჩჩვეთ, დაახჩჩვეს, ერთი მხრით, და დავანჩჩე, დაახჩჩე, დავანჩჩეთ, დაახჩჩეთ, დაახჩჩეს, მეორე მხრით; ასევე: შევატყვე და შევატყე, დავაწყვე და დავაწყე** და მისთ. იმ ტიპის ზმნათაგან ზოგიერთი თურმეობით I-ში ფუძეში ვ-ს წარმოაჩენს, ზოგი კი არა. ამის კარგი მაგალითია ორი ზმნა: **ვიწყებ და ვაწყობ. ვიწყებ—დავიწყებ—დამიწყებ; ვაწყობ—დავაწყებ—დამიწყებ.** თურმეობით I-ში პირველმა არ წარმოვიდგინა ვ ბგერა, მეორემ—კი.

ასეთივე მაგალითი იქნებოდა **ვაცხებ და ვაცხობ: ვაცხებ, წავაცხე და წამიცხებ; ვაცხობ, გამოვაცხებ და გამომიცხებ.**

-ებ სუფიქსიანი ზმნები აქ შესადარებლადა მოყვანილი, თორემ ვ ბგერის შენარჩუნებისა თუ ამოღების საკითხი, რა თქმა უნდა, **ობ-** სუფიქსიან ზმნებს ეხება:

ამის მიხედვით გვექნება:

ვაწყობ—დავაწყვე, დავაწყვი, დავაწყვეთ, დავაწყვით, დავაწყვებს—დამიწყებ;

ვაცხობ—შევატყვე, შევატყვე, შევატყვეთ, შევატყვით, შევატყვებს—შემიტყვებ.

ვალტობ—დავალტვე, დავალტვი, დავალტვით, დავალტვით, დავალტვებს—დამილტვებ.

და ასე:

ვათრობ—დავათვრე (მეტათეზისით)—დამითვრი

ვალხობ—გავალხვე—გამილხვებ

ვანჩჩობ—დავანჩჩვე—დამიჩჩვებ

ვასობ—დავასვე—დამისვებ

ვადრობ—გავაძვრე (მეტათეზისით)—გამიძვრი

ვაცხობ—გამოვაცხვე—გამომიცხებ

ვანდობ—მივანდვე—მიმინდვებ

ვიღრძობ—ვიღრძვე—მიღრძვებ

მაგრამ:

განვაგრძობ—განვაგრძე—განმიგრძებ

ვამკობ—შევაძვე—შემიძვებ (შღრ. ძვ. ქართ. შევაძვე)

ვაქრობ—ჩავაქრე—ჩამიქრებ

ვაყრდნობ—დავაყრდენ—დამიყრდნებ

ვაშრობ—გავაშრე—გამიშრებ

ვაცხრობ—დავაცხრე—დამიცხრებ

ვაფრთხობ—დავაფრთხე—დამიფრთხებ

შენიშვნა. ამგვარი ზმნები სრულად ორთოგრაფიულ ლექსიკონშია აღრიცხული.

13. აღდგება - იერ სუფიქსით ნაწარმოებ სახელებში, განსაკუთრებით ზმნი-სართული მნიშვნელობით ნახმარ მიმართულებითი ბრუნვის ფორმებში.

მშვენ-იერ-ი←მშვენ-ივ-ერ-ი: მშვენივრად; მაგიერი—მაგივრად, მაგრამ: ბედნიერი—ბედნიერად, წესიერი—წესიერად...

14. იმ ზმნების ფორმებში, რომლებშიც -ოვ ან -ავ სუფიქსი შედის სხვა-დასხვა გარემოების გამო.

პოვებს—მოიპოვებს, მოიპოვა, მოიპოვოს (მოვებოვო, მოიპოვო); ათხოვებს—ათხოვა, ათხოვოს (ვათხოვო, ათხოვო); აგროვებს, აგროვა, აგროვოს (ვაგროვო, აგროვო); დატოვებს, დატოვა, დატოვოს (დავტოვო, დატოვო).

ამათ გვერდით, თუძეცა: **იმოძრავებს, იმოძრავა, მაგრამ: იმოძრაოს (ვიმოძრაო, იმოძრაო).**

ტანვარჯიში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის პირველობა მოიპოვეთ თბილისის გუნდმა („კომ.“).

ომის დასასრულს პასკევიჩმა... ძალა მოიპოვეთ (მ. ჭავჭავ.).

დათუნამ თავდაპირველად აზატობა უნდა მოიპოვოს (მ. ჭავჭავ.).

მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 5 : 0 („ლელო“).

გარდაამავალი დროში კომკავშირულმა ბრძვადამ მოიპოვეთ („ახ. კომ.“).

სიტყვა არ მოიპოვებთ ამ აზრის გამოსახატვად (ილია).

(მაგრამ ასეც გვხვდება: „სხვა რამ ძალა მოიპოვებოდა ამ აღმნიშნში“.—

ი. ელფთ.; „თუნდ რომ ათასში ერთი მოიპოვებოდეს კიდეც.“—ილია).

15. -ავ და -ევ სუფიქსებიანი ზმნების კალუბრაციების ფორმებში.

ბედავს—აბედვინებს

ხატავს—ახატვინებს

კლავს—აკლევინებს

ზიდავს—აზიდვინებს

ხევს—ახევინებს

და ამგვარადვე: **არევიანებს, აშლევინებს, ახენევინებს.**

16. ზმნათა ფორმებში: **აკვირვებს, აცუკვებს, ანახვებს, აქარვებს, აღელვებს, უჭირვებს...**

მაგრამ: **აბრწყინებს, აგორებს, აცურებს, ახურებს (ლუმელს), აბრუნებს (შდრ. ძველი: „ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა?“—„ვეფხ.“, 951).** აგრეთვე მიმდებარეობს: **გაბრწყინებული, საგულღებელი, უგულღებელი (უგულღებელუფს).**

17. ცალკეულ სიტყვებში: **ვეფხვი (შდრ. გვარი ვეფხვაძე; მაგრამ: „ვეფხის-ტყაოსანი“); გველვეშაპი, ეფვრატი, თვითონ, მღოვრე, მჭევრმეტყველი.**

მაგრამ: **თედორე, თითოეული, ისრიმი...**

18. პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ- იმ ზმნებში, რომლებიც უ, ო, ვ ბგერებით იწყება, დაცულ უნდა იქნეს: **მე ვუთხარი, მოვუტანე, გავუგზავნე... მე დავობლდი, გავოცდი... მე ვვარჯიშობ, ვვარცხნი, ვვარდები, ვვითარდები, ვვარგვარ...**

როგორც ცნობილია, პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ- საობი-ექტო ქცევს უ- პრეფიქსის წინ ძველ ქართულში არ იწერებოდა და გარკვეული საუკუნეების ენაში პირველი და მეორე პირის ფორმები გარჩეული არ იყო (მე-ორე პირის ფორმაშიც მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი ჰ იკარგებოდა):

უბრძანე (მე მას), **უბრძანე** (შენ მას). დღევანდელ ქართულში ეს ფორმები გარჩეულია მიუხედავად იმისა, რომ მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი **ჰ-** არა გვაქვს; სამაგიეროდ, დაცულია პირველი პირის პრეფიქსი **ვ-**: **ვუბრძანე** (მე მას), **უბრძანე** (შენ მას).

პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი **ვ-** დაკარგულია მხოლოდ ორ ფორმაში: **მოვალ** მე და **მოვედი** მე.

19. იმ შემთხვევაში, როდესაც **ვ** ბგერით დაწყებულ ზმნებს მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმაში **გვ-** პრეფიქსი დაერთვის, შენახულ უნდა იქნეს ორივე **ვ**, ფუძისეულიც და პრეფიქსისეულიც: **გავგვარდნია** (ჩვენ ის ხელიდან), **ჩავგვარდნია** (ჩვენ ის ხელში), **შეგვვაპრებია** (ჩვენ ის), **შეგვედრებია** (ჩვენ ის), **დაგვვარცხნია** (ჩვენ თმა) და სხვ.

2. ვ იტარბვის

20. იმ შემთხვევაში, თუ **-ობა** სუფიქსი დაერთვის **ვ** ბგერით გათავებულ ფუძეს და ამ **ვ-**ს წინ თანხმოვანი არ უძღვის, ასეთი შეჩქლება იყოს არსებითი სახელებიც და, განსაკუთრებით, მიმღობები, რომლებიც **-ავ** ან **-ევ** სუფიქსიანი ზმნებისაგანაა წარმოებული.

თავ-ი : **თაობა** (ახალი თაობა, ძველი თაობა).

ხევ-ი : **ხეობა** (დარიალის ხეობა, ქსნის ხეობა).

ბედშავ-ი : **ბედშაობა**; **ბეჩავი** : **ბეჩაობა** („ჩნახავ ჩვენ ბედშაობას“.—ილია).

ნათესავ-ი : **ნათესაობა**

გამბედავ-ი : **გამბედაობა**

სანახავ-ი : **სანახაობა**

საცოდავ-ი : **საცოდაობა**

უნახავ-ი : **უნახაობა**

შესახედავ-ი : **შესახედაობა**

ნარგავ-ი : **ნარგაობა**

ნარევ-ი : **ნარეობა**

ნაძალადევ-ი : **ნაძალადეობა**

პარაკევ-ი : **პარაკეობა** და ა. შ.

მაგრამ **ვ** დარჩება სიტყვებში: **ვრისთავობა** (←**ვრისთავ-ი**), **მოურავობა** (←**მოურავ-ი**).

შენიშვნა. თუ **ვ-**ს წინ თანხმოვანი უძღვის, მაშინ **ვ** შემონახულია: **ბავშვ-ი**—**ბავშვობა** (ამის შესახებ იხ. § 5).

ასევე იკარგვის **-ობა** სუფიქსის დართვისას ქართულ სიტყვებში **-ივ** ფორმანტისეული **ვ** და **ივ+ობა** იქცევა **ი-ობა**-დ.

კაცობრივ-ი : **კაცობრიობა**

საზოგადოებრივ-ი : **საზოგადოებრიობა**

ბუნებრივ-ი : **ბუნებრიობა**

კლასობრივ-ი : **კლასობრიობა**

მიზეზობრივ-ი : **მიზეზობრიობა**

წოდებრივი : **წოდებრიობა**

მაგრამ ზოგჯერ ვ დაცულია: მრავალმხრივობა, მულტივობა, ცალმხრივობა, ხანგრძლივობა.

იმ შემთხვევაში, თუ -ობა სუფიქსი დაერთვის ივ ბოლოკიდურთან უცხოურიდან ნასესხებ სიტყვებს, ვ დაცულია და გვექნება ივ+ობა: აქტივობა, ინტენსივობა, პასივობა, უნიციტივიობა, უპერსპექტივიობა...

21. იმ შემთხვევაში, თუ ვ ბგერით გათავებულ ფუძეს, რომელსაც წინ თანხმომავანი არ უძღვის, დაერთვის -ობა სუფიქსი. თავ- ფუძისაგან გვაქვს თა-ობანი (აქედან კიდევ თაონობა), პატივ- ფუძისაგან—პატიობანი, ნავ- ფუძისაგან—ნაობანი (აქედან შემდეგ ნაონობა), ვეფხისტყაოსანი (ამოსავალა ტყავ-ფუძე), შაობანი („დიდხან იტირეს ყმაძან და მან ქალმან შაოსანამან“: „ვეფხისტყ.“, 266; „წითელ-ყვილითა დაგავდე, აწ შაოსანსა გბედაო“: „ვეფხისტყ.“, 1628. ამოსავალი შავ- ფუძე).

მაგრამ ვ შენარჩუნებულია გასხვივსნებულ-ში.

22. ფუძისეული ვ იკარგვის -ურ სუფიქსის დართვისას როგორც ქართულ, ისე ნასესხებ სიტყვებში იმ შემთხვევაში, თუ ვ-ს წინ თანხმომავანი არ უძღვის (თუ ვ-ს წინ თანხმომავანი უძღვის, მაშინ ვ- დაცულია: ბავშვ-ი—ბავშვ-ურ-ი. ამის შესახებ იხ. § 3).

ფშავ-ი : ფშაური
კავთისხევ-ი : კავთისხეური
მეჯვრისხევ-ი : მეჯვრისხეური
აქტივ-ი : აქტიური
პასივ-ი : პასიური
კოლექტივ-ი : კოლექტიური

ვ ასეთ პოზიციაში მაშინაც დაიკარგება, თუ იგი ფუძის ბოლოკიდური არ არის, მაგრამ უსწრებს ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს, რომელაც იკვეცება: მოხევე : მოხეური.

ამგვარსავე პოზიციაში ვ იკარგვის:

უ- პრეფიქსითა და -ურ სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ურ სუფიქსის დართვისას: თავ-ი—უ-თა-ურ-ი.

მე- პრეფიქსითა და -ურ სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ურ სუფიქსის დართვისას: თავ-ი—მე-თა-ურ-ი.

ხა- პრეფიქსითა და -ურ სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ურ სუფიქსის დართვისას: თავ-ი—ხა-თა-ურ-ი.

ხი- პრეფიქსითა და -ო სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ო სუფიქსის დართვისას: ხი-მხხ-ო.

ხა- პრეფიქსითა და -ო სუფიქსით წარმოების შემთხვევაში -ო სუფიქსის დართვისას: ხა-პატი-ო.

-უნ-ა სუფიქსით ქნინობითის წარმოებისას: მშავე—მშაუნა (მაშინაც კი, როცა ვ-ს წინ თანხმომავანი უსწრებს: დათვ-ი—დათუნა: „მელაქედამ ტაში დაჰკრა: ამფერ, ჩემო დათუნაო!“—აკაკი. ასეთივე მდგომარეობაა ნაკლებ გავრცელებული უჩ-ა სუფიქსის დართვის შემთხვევაშიც: დათუჩა).

მაგრამ ზოგჯერ ასეთ პოზიციაში ვ შემონახულია: მოსკოვ-ი—მოსკოვ-ურ-ი, თავ-ი—თავ-ურ-ი (თავური დარტყმა. შდრ. ხა-თა-ურ-ი, მე-თა-ურ-ი, სადაც თავ- ფუძის ბოლოკიდური ვ ამგვარსავე პოზიციაში დაკარგულია).

ასევე: ხლავ-ურ-ი, სტაზანოვ-ურ-ი.

23. იმ შემთხვევაში, თუ ვ ო ხმოვნის რედუქციის შედეგადაა მიღებული და მოხვდა რომელიმე წყვილბავისმიერი ბგერის ახლო მეზობლობაში.

ობოლ-ი : ობლისა (← ობელ-ისა)

დილომ-ი : დილმ-ისა (← დიღმ-ისა)

კოფორი : კოფრ-ისა (← კოფერ-ისა)

(შდრ. § 7).

24. -ავ და -ევ სუფიქსებიანი ზმნებისაგან -ულ სუფიქსით ნამყო დროის ენებითი მიმღობის წარმოებისას ვ ყოველთვის იკარგვის:

ბატავ-ს : დაბატული (← დაბატვული ← დაბატავული)

მაღავ-ს : დამალული

პარავ-ს : მოპარული

ფარავ-ს : დაფარული

წაქცევ-ს : წაქცეული (← წაქცევული)

დახევ-ს : დახეული

აზღვევ-ს : დაზღვეული

არბევ-ს : დარბეული

25. ბოლოკიდური ვ ყოველთვის ქრება ზმნებში -ოდ სუფიქსის დართვისას როგორც ნამყო უსრულსა და პირველ კავშირებითში, ისე მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში (კოხვებზე: რას შერებოდა, რა მოსდიოდა? რას შერებოდეს, რა მოსდიოდეს? რა ექნა, რა მოსვლოდა? რა ექნას? რა მოსვლოდეს?).

ყივის—ყოდა, ყიოდეს („ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა“.— „ვეფხისტყა.“, 593).

ჩივის—ჩიოდა, ჩიოდეს („საწყალი მელა ჩიოდა: არ მომივიდა ძილია“.— ხალხური).

კივის—კიოდა, კიოდეს

ცივა—ციოდა, ციოდეს

წივის—წიოდა, წიოდეს

ბლავის—ბლაოდა, ბლაოდეს

კნავის—კნაოდა, კნაოდეს

ყვავის—ყვაოდა, ყვაოდეს

ჭყავის—ჭყაოდა, ჭყაოდეს

ერევა—ერეოდა, ერეოდეს

ერკვევა—ერკვეოდა, ერკვეოდეს

ენვევა—ენვეოდა, ენვეოდეს

ესევა—ესეოდა, ესეოდეს

იზნევა—იზნეოდა, იზნეოდეს

ინგრევა—ინგრეოდა, ინგრეოდეს

ირხევა—ირხეოდა, ირხეოდეს

სწვევია—სწვეოდა, სწვეოდეს

დასწვევია—დასწეოდა, დასწეოდეს

დახევია—დახეოდა, დახეოდეს

დახვევია—დახვეოდა, დახვეოდეს

დაჰკარგვია—დაჰკარგოდა, დაჰკარგოდეს

დართვია—დართოდა, დართოდეს

გაჰპარვია—გაჰპაროდა, გაჰპაროდეს

26. არ არის საჭირო ვ ჩაერთოს პირველი თურმეობითის ფორმებში: გა-უქრია, გაუშრია, გაუცნია, უგრძნია... (და არა: გაუქვრია, გაუშვრია, გა-უცვნია, უგრძვნია...).

27. თრიოდე ზმნას შორის სემანტიკურ სხვაობას ვ-ც ამყარებს: შეცივება და შეციება (აცივებს წყალს და აცივებს მას დღეგამოშვებით); პატიება და გაპატივება (აპატიებს დანაშაულს და აპატივებს მიწას).

3. ვ ბგერა დაერთვის ან ჩაერთვის

28. იმ შემთხვევაში, თუ ე ან ო ხმოვნით დაბოლოებული ფუძეებისგან მე—ე, სა—ე აფიქსებითაა ნაწარმოები სახელი, ფუძისეულ და სუფიქსის ხმოვ-ნებს შორის ვ ჩაერთვის და იგი რჩება.

ტყე—მე-ტყე-ვ-ე
რძე—მე-რძე-ვ-ე
ეზო—მე-ეზო-ვ-ე
რძე—სა-რძე-ვ-ე
ეზო—სა-ეზო-ვ-ე

უ ბოლოხმოვნიანთაგან ნაწარმოებ სახელებს ვ არ ექნება: სოფლის სახე-ლია კახეთში საბუე (სა-ბუ-ე).

29. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ა ან ო ხმოვნით დაბოლოებული ფუძეებისაგან ხი—ე პრეფიქს-სუფიქსითაა ნაწარმოები სახელი, ფუძისეულ და სუფიქსის ხმოვნებს შორის ვ ჩაერთვის და იგი რჩება.

კობტა—ხი-კობტა-ვ-ე
ბრმა—ხი-ბრმა-ვ-ე
სუფთა—ხი-სუფთა-ვ-ე
ფართო—ხი-ფართო-ვ-ე
ვიწრო—ხი-ვიწრო-ვ-ე
ახლო—ხი-ახლო-ვ-ე

უ ბოლოხმოვნიანთაგან ნაწარმოებ სახელებში ვ არ გვექნება: ყრუ—ხი-ყრუე, ცრუ—ხი-ცრუე და არა: ხიყრუე, ხიცრუე.

შენიშვნა 1. ძველად ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა გვექონოდა ვ-ეს ფაქტი „გეფხისტყაოსნის“ გამოცემებშია ასახული. მაგალითად, პოემის 1957 წლის გამოცემაში ერთ შემთხვევაში გვხვდება ხიცრუე, მეორე შემთხვევაში კი ხიცრუე.

ვა, საწუთრო, ხიცრუეით თავი სატანას აღარე! 1213.
ენახე რამე ეშაქისა ხიცრუეე და ხიბილწო. 118.
ხიცრუე და ორპირობა ავნებს ზორცსა, მერვე სულსა. 789.
რათგან თავია ხიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძა უმტყიცესი ძმობისა. 790.

შენიშვნა 2. როდესაც ვამბობთ, უ ბოლოხმოვნიანთაგან ნაწარმოებ სახელებში ვ არ არის (ხიცრუე), ძველად კი შესაძლებელია ყოფილიყო (ხიცრუე), ისიც უნდა დავსძინოთ, რომ, ხიცრუე-სა და მსგავს ფორმებში ვ არ ჩნდებათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ,

თუ ამოსავლად **ცრუ-** ფუძეს მივიჩნევდით; მაგრამ, თუ ამოსავალი არა **ცრუ-** ფუძე, არამედ **ცრუვ-** ფუძე, მაშინ **სიცრუე-**ში ვ უნდა მივიჩნიოთ დაკარგულად. ასევე **სიცრუვე** ფორმაში ვ გაჩენილად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოსავლად **ცრუ-** ფუძე გვაქვს მიჩნეული, მაგრამ, თუ ამოსავლად **ცრუვ-** ფუძეს მივიჩნევდით, მაშინ **სიცრუვე** ფორმაში ვ შემონახული აღმოჩნდებოდა. საქმე ის არის, რომ ლიტერატურულ **ბუ, ყრუ, ცრუ** და **უ-ზე** დაბოლოებულ ზოგ სხვა ერთმარცვლიან სიტყვას ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში **ბუვ-ი, ყრუვ-ი, ცრუვ-ი** და მისთ. სახეობები მოეპოვება.

30. სახელთა ფუძეებისაგან ზმნების წარმოებისას, ე. ი. ნასახელარ ზმნებში, აგრეთვე ჩნდება ზოგ შემთხვევაში ვ.

თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ არასოდეს არ ჩნდება: **თეთრ-ი—ათეთრებს, ათეთრებდა, ათეთრებდეს, გაათეთრებს, გაათეთრებდა, გაათეთროს, გაათეთრებია, გაეთეთრებინა, გაეთეთრებინოს.** ასევე ენებითში: **თეთრდება, გათეთრდა, გათეთრებულა** და სხვ. ნაზმნარ სახელებში: **გათეთრება, გათეთრებული, განათეთრები, გასათეთრებელი, გამთეთრებელი.**

ე-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ ჩნდება ყველა დროსა და კილოში და რჩება ყველგან, გარდა მეორე კავშირებითისა (კითხვაზე: რა ქნას? რა მოუქცდეს?): **ხე—ახეივებს, ახეივებდა, ახეივებდეს, გაახეივებს, გაახეივებდა, გაახეივა, გაუხეივებია, გაეხეივებინა, გაახეივებინოს,** მაგრამ: რა ქნას? გაახეიოს. ენებითებში ვ ყველგანაა: **ხეგდება, ხეგდებოდა, ხეგდებოდეს, გახეგდება, გახეგდებოდა, გახეგდა, გახეგდეს, გახეგებულა, გახეგებულიყო, გახეგებულიყოს.** ნაზმნარ სახელებში: **გახეივება, გახეივებული, განახეივები, გასახეივებელი, გამხეივებელი.**

ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ არასოდეს არ ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ წარმოებისას ბოლოკიდური ა მოკვეცა. ამ შემთხვევაში ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც იყო თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეთაგან წარმოებისას: **შეშა—აშეშებს, გააშეშებს, გააშეშა, გაუშეშებია; ენებითებში: შეშდება, გაშეშდება, გაშეშდა, გაშეშებულა.** ნაზმნარ სახელებში: **გაშეშება, გაშეშებული, გასაშეშებელი...**

მაგრამ, თუ ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ბოლოკიდური ა არ მოკვეცა, მაშინ ისეთივე სურათი გვაქნება, როგორც ე-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას გვაქნდა: ვ ყველა დროსა და კილოში გაჩნდება, გარდა მეორე კავშირებითისა. **მონა—იმონავებს, იმონავებდა, იმონავებდეს, დაიმონავებს, დაიმონავებდა, დაიმონავა, დაუიმონავებია, დაემონავებინა, დაემონავებინოს;** მაგრამ მეორე კავშირებითში იქნება **დაიმონავოს.**

ენებითში ვ აქაც ყველგანაა: **მონავდება, მონავდებოდა, მონავდებოდეს, დამონავდება, დამონავდებოდა, დამონავდა, დამონავდეს, დამონავებულა, დამონავებულიყო, დამონავებულიყოს.**

ნაზმნარ სახელებში: **დამონავება, დამონავებული, დანამონავები, დანამონავებელი, დამამონავებელი.**

შდრ. ამავე ფუძისაგან ბოლოკიდური ა-ს მოკვეცილ ნაწარმოები ფორმები ზმნისა: **იმონებს, დაიმონებს, დაიმონა, დაუიმონებია, დამონდება, დამონდა, დამონებულა** და სხვ. ნაზმნარი სახელები: **დამონება, დამონებული, დანამონებელი, დამამონებელი...**

ო-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ ჩნდება მხოლოდ ნამყო ძირითადში (კითხვაზე: რა ქნა ? რა მოუვიდა ?): ჯილდო—დააჯილდოვა (მან), დააჯილდოვე (შენ), დავაჯილდოვე (მე); დააჯილდოვეს (მათ), დააჯილდოვეთ (თქვენ), დავაჯილდოვეთ (ჩვენ).

სხვა დრო-კლოებში ვ არ არის: აჯილდოებს, აჯილდობდა, აჯილდობდეს, დააჯილდოებს, დააჯილდობდა, დააჯილდობდეს, დააჯილდოოს, დაუჯილდობია, დაეჯილდობინა, დაეჯილდობინოს.

ენებითში ვ ყველგანაა, გარდა მესამე სერიის ფორმებისა: ჯილდოვდება, ჯილდოვდებოდა, ჯილდოვდებოდეს, დაჯილდოვდება, დაჯილდოვდებოდა, დაჯილდოვდა, დაჯილდოვდეს. მაგრამ მესამე სერიის ფორმებში გვაქვს: დაჯილდოებულა, დაჯილდოებულიყო, დაჯილდოებულყოფს.

ნაზმნარ სახელებში ვ არსად არ არის: დაჯილდოება, დაჯილდოებული, დანაჯილდოები, დანაჯილდოებელი, დამჯილდოებელი.

უ-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ არც ერთ დროსა და კლოში არ ჩნდება: ყრუ—აყრუებს, აყრუებდა, აყრუებდეს, დააყრუებს, დააყრუებდა, დააყრუა, დააყრუოს, დაუყრუებია, დაეყრუებინა, დაეყრუებინოს.

ენებითებში ვ ყველგანაა, გარდა მესამე სერიის ფორმებისა: ყრუვდება, ყრუვდებოდა, ყრუვდებოდეს, დაყრუვდება, დაყრუვდებოდა, დაყრუვდა, დაყრუვდეს. მაგრამ მესამე სერიის ფორმებში გვაქვს: დაყრუებულა, დაყრუებულიყო, დაყრუებულყოფს.

ნაზმნარ სახელებში ვ არსად არ არის: დაყრუება, დაყრუებული, დანაყრუები, დანაყრუებელი, დამაყრუებელი.

როგორც ვხედავთ, ფუძისეული ან აფიქსისეული ვ უფრო ადვილად იკარგვის უ-ს წინ, ვიდრე ო-ს წინ. მაინც ერთგვარი ვითარება არ გვაქვს ერთგვარ პოზიციაშიც კი: ერთ შემთხვევაში ვ რომ იკარგვის, მეორე შემთხვევაში მსგავს პოზიციაში ვ შენარჩუნებულია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ხნოვანების წარმოებასთან გვაქვს საქმე. რაც უფრო ძველია წარმოება, მით უფრო ხშირია ვ-ს დაკარგვის შემთხვევები; რაც უფრო ახალია წარმოება, მით უფრო ერიდება ენა ფუძის დაზიანებას ფუძისეული ვ-ს დაკარგვის შედეგად და ა. შ. სიჭრელე იმითაა გამოწვეული, რომ სხვადასხვა ეპოქის მასალასთან გვაქვს საქმე. აქ წარმოდგენილია ყველაზე ძირითადი შემთხვევები. ვ-ს შენარჩუნების, დაკარგვისა და ჩართვის ყველა შემთხვევის აღნუსხვა ორთოგრაფიული ლექსიკონის საქმეა და მასშია კიდევაც გათვალისწინებული.